


S 72 / 2
1987

ISSN 0132-5965



1987 სექტემბერი № 9



ქალაქი



ირაკლი ავაშიძე

თამარი სოლაჟი

სექტემბერმა დარეკა,
 თათო მიდის სკოლაში,
 სასლში რჩება თოჯინა,
 დათვი და გორგოლაჭი,
 თეფშები და კოვსები,
 უხმარი და ნახმარი.
 სკოლის კართან ელიან
 მეგობრები ახალი.
 თათო მიდის სკოლაში,
 დღეს ეს არის მთავარი...
 ახლა უკვე ნამდვილად
 თათოს ჰქვია თამარი.



ნეკოდენა

ვეზადები სასკოლოდ

59481

მოგვადგება, საცხა,
კარსე სექტემბერი!
ვეზადები სასკოლოდ,
მეც მაქვს საქმე ბუერი!
დამთავრდება ავვისტო,
მოვა სექტემბერი!

დელი, ბიჭო, დელია,
ჭერი, ბიჭო, ჭერი!
დრო დადგება კითხვის და
დრო დადგება წერის,
დელი, ბიჭო, დელია,
ჭერი, ბიჭო, ჭერი!

ვეზადები სასკოლოდ
მომავალი მსვერავი!

კლასში შევალ-გამოვალ! —
თვალს ვერ მომკრავს ვერავინ!

დელი, ბიჭო, დელია,
ჭერი, ბიჭო, ჭერი!

მოგვადგება, საცხა,
კარსე სექტემბერი!

ტარიელ პანტურია

ნეკოდენა სკოლაში

პირველი სექტემბერი რომ დადგა, ნეკოდენა მამამ სკოლაში წაიყვანა — პირველ კლასში!

დაირეკა ზარი.


ყველანი საკლასო ოთახში შევიდნენ. მასწავლებელი ბავშვებს მიესალმა. ბავშვებმა საღმთოვე უპასუხეს. დასხედით, ბავშვებო, და მასწავლებელმა საკლასო ურუნალი გაშალა — სიის კითხვას შეუდგა. ნეკოდენას გვარი, ანბანით, სიის ბოლოში იყო. როცა მასწავლებელმა სია ჩაიკითხა და ნეკოდენას ჭერიც დადგა, ნეკოდენამაც, სხვა ბავშვებივით, ვარო, დაიძახა. დაძახებით კი დაიძახა, მაგრამ რად გინდა — მასწავლებელმა ბიჭი ვერ დაინახა, — ნეკოდენა მერხში ისე იყო ჩამალული, ვერავინ ხედავდა.

გვეპეწებით: კურნალში
ნუ ჩამიწერთ „არ“-ს!
როცა არ ვარ, იცოდეთ,
მე მაშინაც ვარ:
რა ვქნა, ტახად ნატარა ვარ:
მომავალი მსვერავი!
შეკვდივარ და გამოვდივარ —
თვალს ვერ მომკრავს ვერავინ!

მართლა რა პატარა ყოფილაო, — გაიფიქრა მასწავლებელმა და გაეღიმა. მერე აღდა და ნეკოდენა წინ გადმოხვდა, — სულ პირველ მერხზე.



ბაქ. სსრ კ. შარქიძის
სახ. სახ. წესებ.
ბიბლიოთეკა



— სუთს რომ სუთი მივუმატოთ,
რამდენია?

— ათი!

— დამჯდარმა რომ მიზასუსე,
ვერ ადგები? ადუ!

წუსს ემაწვილი:

— ამ შენიშვნებს

რად მაძღვევენ სულ მე!

მართლაც, რა ქნას ნეკოდენამ! —

ფესზე იღვა თურმე!

ნეკოდენას ხომ ვერც აქედან ხედა-
ვდნენ, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ ნე-
კოდენა ხედავდა კარგად დაფხს და დრო-
დადრო ფანჯარაშიც იცქირებოდა. ფან-
ჯრიდან ქუჩა ჩანდა. ქუჩაში მოსიარულე-
ებიდან ზოგი ხშირად არღვევდა მოძრა-
ობის წესებს.

სულ წინ-წინ გარბიან

ხან მხია, ხან თვა!

შეჩერდით! ვერ ხედავთ? —

წითელი ანთია!

სულ წინ-წინ გარბიან

ხან თვა, ხან თინა!

შეჩერდით! ვერ ხედავთ? —

ვეითელი ანთია!

იხწავლეთ ეს წესი,

თუ ჩემი ხათრი გაქვთ:

შეჩერდით, როდესაც

წითელი ანთია!

შეუთვინდით, როდესაც

ვეითელი ანთია

თითქოს გასამწეურებლად

გამოფინა ტუქმ ლები —

ქათქათებენ ნისლები და

ქოთქოთებენ ტუქმლები!

სითხითებენ იხვები და

სისინებენ ბატები!

თამაშობენ თავებები და...

ან იტყვონ კატები!

კუნტრუშობენ უშობლები,

ან ბრზობენ მწუქმსები!

ხედავთ? — ბატებს უსწავლიათ

მოძრაობის წესები!

გადადიან სოფლის შუკას

დაწობილად, მწკრივებად!

ეს რა ვნახე: ნეკოდენა

ბატების მწკრივს მიება!

სულ ბაჯბაჯით გაიარეს

ქუჩა მთელ სივანესე!

განა წესი დაარღვეეს! —

გადავიდნენ მწვანესე!



ილია ჭავჭავაძე • 150 •



3030 პეპეტარო

საგურამო, ილიას მეგობრობა, ბაქოს სიძეა



სოფელი საგურამო გურამიშვილების ნამოსახლარია. საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გამოფენილია გურამიშვილების ნაქონი ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ხმალი, მთოქროვილი ფარი, სპილის ძეხვის უნჯარი, საპირისცამლე... აქ დაიბადა, ბავშვობა და ისწავა აქ გაატარა დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა. საგურამოს თავზე დღემდე შემორჩენილი ძველი ნასახლარია.

ილიას მეუღლეს, თლდა გურამიშვილს, მემკვიდრეობით ერგო საგურამო. აქ, გორისუბანში,

ილია ჭავჭავაძეს ჯერ ოთხთობანი ფიცრული სახლი ჩაუდგამს, ხოლო კარგანის შემდეგ, 1895 წლისათვის, ძველი ხის შენობის ნაცვლად ქვიტკირის სამსართულიანი სახლი აუშენებდა.

თითქმის ყოველ წელშიწადს, ზაფხულიდან შემოდგომამდე, ყოველ შაბათ-კვირას ილია საგურამოში ატარებდა. გზაზე ბუნების მშვენიერებით ტკებულობდა. განსაკუთრებით პვეარებია საგურამოსთან ახიდული ტყიანი მთების მხერა.

საერთოდ თურმე ეტლით მგზავრობა უფრო მოსწონდა, ვიდრე რკინიგზით, თავახდილი ეტლით სიარულის დროს მთელი არემარე უფრო კარგად ეშლებოდა კაცს თვალწინ, ვიდრე მატარებლის ვაგონიდან.

ერთხელ ილია და გერმანელი მწერალი, «ევფისისტაოსნის» გერმანულ ენაზე მთარგმნელი არტურ ლაისტი ილიას ეტლში მგდარან. ერთ დღამართზე, დილის დუქანთან, ცხენებს ეტლი გაუტაციათ; მიეტლე დაბნეულია, ილია კი კოფოზე შემხვალა, მიეტლსათვის აღვირო გამოუტაცია და ცხენები შეუჭერებია.

თურმე ღამ-ღამობით ხშირად ეტლი ილიას მიჰყავდა.

ქალაქში დაღლილი ილია საგურამოში ისვენებდა. აქ იგი თიერ ხალათს იცვამდა და წი-

თელ ფუნჯიან ქუდს იხურავდა. უვეარდა ტყის მყუდროება და გლეხებთან საუბარი, — მათგან ჭკუასა ვსწავლობო. «თითარანთ ქვერეში» ილია ამბობს: «ყველა გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნო, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატიათო.

ხშირად თურმე, აივანზე გადმომდგარი, მახლობელ ბაღში მომუშავე ბიჭების სიმღერას სულგანაბული უსმენდა. განსაკუთრებით პვეარებია ურმული, მეტარე ღამით.

ზოგჯერ ილია მთელ დღეს კალთზე ატარებდა მნებსა და ბზეში მდგომი. საღამოსანს კი აიენიდან გადაყურებდა სოფელში დაბარუნებულ ნახირს. ილიას კაბინეტიდან ამ აივანზე რომ გაედვარო, დასაფლეთით მუხრანის ველი და მდინარე ქსანი მოჩანს, ახლოს არაგვისა, შორს კი — მყინვარწყურით დამშვენებული კავკასიონის ქედი.

მზის ჩასვლისას ილია აივანს არ შორდებოდა. მზის ჩასვლა მას კარგად აქვს აღწერილი პოემა «განდევკილიში».

საგურამოში თავს იყრიდნენ ბაკვი, ვაფა, რაფიელ ერისთავი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი...

მშვენიერი სანახაობა ყოფილა საგურამოში ილიათბა, რომელიც ყოველ 20 ივლისს იმართებოდა. სახლიან ეტლებით, «ლენტიკობით», დილიჯანსებით მოდიოდ-



მატყარი ელჟარდ აგმაგამაძე

ნენ ჩიხტიკოვიანი მანდილოსნები და შვედეთუკიანი მამაკაცები. სამასწლიანი კაკლის ჩრდილში იშლებოდა ქართული სუფრა. ერთ-ერთ ილიაობას წინამძღვრებანთკარის სკოლის მოწაფეებს ილიასათვის მოურთმევით თავისი ხელით გამიხარატებული სკამ-ჯონი, ხის კალმისტარი, სამელნე, ქაღალდის საჭურჭელი დანა, ხელის კალათა მისი მეუღლისათვის. ეს ნივთები ახლა საგურამოში ინახება.

ბავშვებო! უთუოდ ვწვიეთ საგურამოს. მეორე სართულზე თქვენ ნახავთ მისაღებ, სასაღილო და, აგრეთვე, ოღლას ოთახებს; მესამე სართულზე — სა-

წოლ ოთახს და ილიას კაბინეტს; აქ ინახება ილიას დედის ნაქონი სპილოს ძეღის ოქროსზარნიშოანი მარაო, ილიას დის, ელისაბედის მოქსოვილი თავსაკრავი, ილიას სტუდენტობისდროინდელი ქუდი, ოღლას ხელსაქმის ყუთი, ნაშთივი სკივრი, პალისანდრის ხის სეკრეტერი, ძველებური კომოდი, ტრელაჟი, მომრიგებული მოსამართლის სამკვრეჯაჭვი, თბილისელი ხელისნების მორთმეული თარი, ილიას ტანისამოსი — სერთუკი, ნაირფერი ყელსაბჯევები, ფილეტები, მანჟეტები; თიხის სურა, ჩანთა, გრძელები ჩიბუხი, რომელიც ილიას არახოდეს უხმარია; ილიას მკერ-

დიდან ამოდებული ტყვია, ვერცხლის ჭიქა, რომელსაც იგი განუფრელად თან ატარებდა. ამ ჭიქით დაუღვწვია მას უკანასკნელად წყალი წიწამურის გზაზე...

1907 წლის 30 აგვისტოს, ადრე დილით, ილია და ოღლა თბილისიდან საგურამოში გაემგზავრნენ.

გზაზე ილიას მეგვლისთვის უთქვამს, წიწამურში გააჩერე და ცხენს წყალი დააღვინეთ. ამასობაში ათი წუთი გასულა. მე-ეტლე შემჯდარა კოფოზე და ბრძანებას უცდიდა, რომ წასულიყო. მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და თითქოს წასვლას არ აპირე-

ბდა. შემიდეგ ხმისამოულებლად
ნამეფდარა ეტლში...

შუადღის თორმეტი საათი
სრულდებოდა. ეტლი წიწამურის
ბოლოზე გავიდა და საგურამოს
ვაკეზე უნდა დაშვებულიყო, მა-
გრამ მოულოდნელად შეჩერდა.
ილიამ დაინახა, რომ ვიღაც კა-
ცი თოფს უმიზნებდა და და-
იფიქრა: «რას სჩადისართ, ილია
ვარ!..» ამ დროს თოფმა იჭექა
და ილია გულგანგამირული გა-
დაიქცა. ოღღამ გონება დაკარ-
ცა, მკვლელები მიიმალნენ და
ილიას სათვალე, საათი, ქისა და
ფეხსაცმელი გაიტაცეს...

ილიას მეეტლე თურემ შეთქ-
მულების მონაწილე იყო. იცოდა,
რომ ავაზაკები ეტლს წიწამურ-
თან უნდა დახვედროდნენ.

ილიას ვერაგული მკვლელო-
ბის ამბავი მთელ საქართველოს
მოხლო. ქვეყანა გლოვობდა თა-
ვის სასიძაღულო შვილს და ზი-

ზღს უცხადებდა იმით, ვინც
ილია სასიკვდილოდ გაიმეტეს.
იმ დღეების საქართველოს სი-
მბოლოდ გამოდგება 1913 წელს
ილიას საფლავზე დადგმული ძე-
გული იაკობ ნიკოლაძისა «მწუ-
ხარე საქართველო» — საქარ-
თველო იყო ძაბით მოსილი დედა
და შვილს დახტიროდა.

ილიას სიცოცხლე მოუსწრა-
ფეს, მაგრამ ის რომ მუდამ სა-
ქართველოსთან იქნებოდა, ეს
ყველაზე კარგად გამოხატა აკა-
კიმ, რომელმაც ასე მიმართა
ილიას ნეშტს:

«თუ საქართველოს სიკვდილი
არ უწერია, მაშინ იმასთან ერ-
თად შენც უკვდავი იქნები, და
თუ სასიკვდილოა, როგორც ზო-
გიერთების სურთ და პიონათი,
მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენ
სიკვდილით წინ-უსწარ მის სი-
კვდილს და თვალთ ვეღარ ნა-
ხავ!»

„ბავშვებო! ილიას დაბადე-
დან 150 წელმა და გარდცვა-
ლებიდან 80 წელმა გაიარა.

ახლა ჩვენ კარგად ვიცით, რა
ამაგი აქვს ილია ჭავჭავაძის თა-
ვის ხალხზე, ჩვენ გვეკუთვნის
მისი მდიდარი ლიტერატურული
მემკვიდრეობა და ჩვენს გულში
ცოცხლობს მისი ნათქვამი ფო-
ველი სიტყვა. ამიტომ დღეს წი-
ნასწარმეტველურად ისმის ერ-
თი მისი ლექსის ეს სტრიქონე-
ბი:

„ღე, თუნდ მოკვდე,
არ მეშინია,
მაგრამ კი ისე,
რომ ჩემი კვალი
ნახონ მით, ვინცა
ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა
მან თვისი ვალი“.

მკატრინე ბაგლიაშვილი

თამაშ სიზმარი

ცის ლაქვარდში,
ტყე-ტყე
მთა-მთა,
ძილში დაქრის ციციქნა თამთა...
აღმა-დაღმა სეტიალში
სულ დაეხა კაბის კალთა.
მორაკრაკე ნაკადული,
ბალახებში ჩაკარგული,
თითქოს იუოს ლერწმის ღერი —
გზა-გზა,
ხე-ხეუ მიიმღერის...
— მსემ თვალები გახსილა,
შენ რად გძინავს, ჩემო თამთა?
ჰა, სკოლისკენ წაცენცულდი,
მოგომსადა ბებომ ჩანთა.



გაეღვიძა... აღარც მთები,
არც ჭალა-ტყე არსად არის...
— ნაუ, ნაუ! ჩქარა მორდით! —
გამბით უხმობს სკოლის წარი.

კაკი გახედა ონკანი

...ნეტავ ცხვირი რას გაჭკრა? —
 წვალი მოდის თქრიალით,
 არ ჩერდება ონკანი
 აქეთ-იქით ტრიალით...
 აუსვია ონკანს ება
 ბებომ თეთრი ნაჭერით,
 წვალი შეწუდა,
 დეღამ რით
 დაამსადოს საჭმელი?
 მამამ გამოუძახა:
 ახლოდან თუ შორიდან...
 და ექიმი კი არა
 ტექნიკოსი მოვიდა.
 ტექნიკოსმა კორწუსში
 წვალი სულ გადაკეტა,
 მაგრამ ჩვენი ონკანი
 მანამ აღარ გაკეთდა,
 სანამ ამ ჩვენს ლიკვიკას,
 სანამ ამ ჩვენს ცანცარას,
 ამ ჩვენს ონკანს
 ის შევლი



ენა არ მოაცალა...
 ონკანს ენა ჩაუდგა
 ტექნიკოსმა ახალი...
 მოუჭირა ჭანჭიკი
 და კანაფი გაშხმარი.
 ისე, მისი მორჩენა
 არ ეოფილა ადვილი,
 ტექნიკოსი ონკანის
 ექიმია ნამდვილი.
 გვიხარა: დიდხანს წელის ღენით
 ზიანდება ონკანი,
 და მერე მას ვერ შევლის
 ბებოს — დმერთო, მომკალი!
 ...და წელის უქმად დაღვრა ხომ
 არის დანაშაულიც?...
 მოშველებულ წვალს გულგრილად
 ნუღარ აუვლ-ჩაუვლით...
 გთხოვთ, ბავშვებო, ეს ერთი
 საქმე ეველგან აკეთეთ...
 სადაც ნახათ მოშვებულს, —
 ონკანები დაკეტეთ!



ՆԿԱՐԻ ԿՈՅԳՈՎԱԼՆՅՐԱՅԻՆ


ԸՑԻՊՈՆ
ՁԱՆՅՐԱՆԵՐԻՄ

ՃԱԅՅՅՅՅՅԻՆ! ԲՅՈՎՈՒ ՉԻՒԿԻՆՈՒ
ՈՏՅՈՒՆՆԵՐ ՆՅՈՒՆՅԱՐՆԵՐԻ ՆԻՇՏՈՒԿԻՆՆԵՐ
ՏՈՎՅՈՒՆԵՐ ՉԻՒՄԵՆՈՒ ԿՐՁՈՎՆԵՐԻ
ՉԻՒՄՆԵՐՆԵՐ:

ՅԻՊՏՆԱ ԵՎ ԶՅՈՎՆԵՐՆԵՐԻ ՎԿՈՒՄ
ՈՒՄՈՒ ԶՄՈՒՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅՅ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐ ԵՎ ԶԻՄ
ՎՈՐՅԱՐՆԵՐԻ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐ

ՈՒ ՎՅՈՒՆ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ

ՅԻՊՏՆԱ ՁԱՆՅՐԱՆԵՐԻՄ



ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ

ՉԻՒՄ, ԸՑԻՊՈՆ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ
ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ

ՉԻՒՄ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ (3500 Հ.Յ.)



ՉԻՒՄՆԵՐԻ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ



ՉԻՒՄ... ՉԻՒՄ... ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ...
ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ ԵՎ ՆՈՒՄՅՈՒՆՆԵՐԻ



▶ 1987, 1986, 1985, 1984, 1983, 1982, 1981, 1980, 197



ԲՅՅՈՒՆ ԵՎ ԵՎԵՆՈՒՄ ԵՆՅԱՅԵԸ 3500 ԵՎԵՆ...

Յամահիւրքա!
Ո՞ր հա Կրկնա?



Եթե չես յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի - ժողովուրդը
հարկաւ յարմար լինի. Երկիրը
հարկաւ յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի.

Յամարայրքա, Երկիրը, Երկիրը,
Երկիրը, Երկիրը, Երկիրը...



Ո՞ր հարկաւ յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի. Երկիրը
հարկաւ յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի.



Ուր, հարկաւ յարմար լինի Երկիրը
հարկաւ յարմար լինի - ժողովուրդը
հարկաւ յարմար լինի.




Ո՞ր հարկաւ յարմար լինի.



Ո՞ր հարկաւ յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի. Երկիրը
հարկաւ յարմար լինի, Երկիրը
հարկաւ յարմար լինի.

Ո՞ր հարկաւ յարմար լինի...





▶ **მა რაგაზი ტყეში, ანა?**



**გზინი სიძინიანი სიძინიანი
მა მკილი სიძინიანი, გინი-
მა გინიანი იმი გინიანი.**



**გინიანი გინიანი გინიანი გინიანი
სიძინიანი გინიანი, იმიანი გინიანი-
გინიანი, მკილი გინიანი გინიანი
აღიანი „მკილი სიძინიანი“ გინიანი
გინიანი გინიანი.**



**გინიანი, გინიანი სიძინიანი,
გინიანი, მა სიძინიანი
სიძინიანი, გინიანი,
სიძინიანი, სიძინიანი,
სიძინიანი, გინიანი-
გინიანი გინიანი სიძინიანი
აღიანი.**



**სიძინიანი გინიანი გინიანი
„მკილი სიძინიანი“
გინიანი...**



გინიანი გინიანი იმი?



**სიძინიანი, სიძინიანი გინიანი
სიძინიანი სიძინიანი გინიანი
სიძინიანი, სიძინიანი გინიანი
სიძინიანი და სიძინიანი
სიძინიანი გინიანი!**



**სი-სი-სი...
სი-სი-სი-სი
სი სიძინიანი გინიანი...**

**სიძინიანი გინიანი,
სიძინიანი გინიანი...**



სიძინიანი, გინიანი!

**სიძინიანი გინიანი-
სიძინიანი.**



ერლომ ასვლიანი

შესავალი

მათეს ეზო სოფლის სხვა ეზოებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა...

ეზოში იღვა ერთი სახლი, სახლს ერთი სახურავი ჰქონდა. სახურავს ერთი საკვამური ედგა. ხოლო საკვამურიდან ერთი ცისფერი ბოლი ამოდიოდა.

ამბობენ, ცა იმიტომ არის ცისფერი, რომ იგი მათეს სახლის საკვამურიდან ამოსული ბოლით ივსებო.

ვეჭვობ, რომ ეს სწორი იყოს, რადგან ცა აურთიანად ცისფერი ეოფილბ და დაუჯერებელია, აურთიან ცაც მათეს საკვამურიდან ამოსული ბოლით ივსებოდეს.

ალბათ იქ თავისი მათე ჰეავთ...

მათეს მწვანე მოლიანი ეზო ტერუშული ღობით იყო შემორავული. ეზოში უამრავი ცხოველები და ფრინველები ბინადრობდნენ და ეოველი მათეზანი თითო-თითო იყო.

ეზოს თავისი ნიავი ჰეავდა. ნიავს გამკვირვალე ნახი ფრთები ჰქონდა.

ეზოს თავსე, ხანდახან, ქათათა ღრუბელი შევროვდებოდა, რომელსაც ხან შხაშუნა წვიმა მოჰეავდა და კარემოს ავრთლებდა; ხან ფაფუკ თოვლს დაბერტეავდა მოლსე; ხან ათასკვარ სახეს იღებდა და ეველას ამხიარულებდა; ხან მოიქუფრებოდა, რაღაცსე ვავავრდებოდა და ისეთ ჰეკეჩხილს ასტესდა, რომ ქევეით ეველას გულები უსკდებოდათ შიძისგან; ხან კი გაიფანტებოდა, გაქრებოდა და არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

მართალია, მათეს ეზო არაფრით არ განსხვავდებოდა სოფლის სხვა ეზოებისაგან, მაგრამ აქ მინც უქეულო ამბები ხდებოდა...

ერთხელ მავალითად, ცას ვარსკვლავი მოწედა და მინცდამინც მათეს ეზოში ჩავარდა. კიდევ კარგი, ვარსკვლავი ჰატარა იყო, სულ რაღაც ჰატარა მთვარის ოდენა. ის მთელი ღამე ენთო და აქეთ-იქით ნაწერწკლებს ისროდა. საბედნიეროდ, ნაწერწკლები არაფერს წეავდა. დილით კი იმ ადგილას არც ვარსკვლავი იყო და არც რამე კვალი ჩანდა მისგან. ოღონდ საღამოობით მათეს ეზო უამრავი ციცინათელეებით ივსებოდა ხოლმე.

მაგრამ მათეს ეზოში ეველაფერი ასე მშვიდობიანად როდი თავდებოდა. ამ ერთი ბეწო ადგილას ისეთი ამბებიც მომხდარა, რომ მათესთვის მრავალჯერ უტკენია გული

და ბევრი ცრემლიც უდენიება.

ჩემო ჰატარა შკითხველო, ეური მიგდე და ნუ მიწეენ, თუ მსიარულის გვერდით მწუხარე ამბებსაც მოისმენ, რადგან ეს არის ცხოვრება.

მათხ სასლი

აღბათ ვაინტერესებთ, როგორ აიძენა მათემ სასლი.

ძალიან უბრალოდა.

განაფხულზე მან თავისი ეხოს ერთ-ერთ ეუთხეში ჩაფლა ღამაში წითელი აგური და, მასთან ერთად, ხის ჰატარა, მოჩუქურთმებული ფიცარი.

შემოდგომაზე კი იმ ადგილას ხისაივნანი აგურის სასლი აღმოცენდა. ჯერ საკვამური ამოიწვრა და მაშინვე ცისფერი ბოლი ამოუშვა. შემდეგ სახურავი ამოიძარა, შემდეგ — კედლები თავისი კარ-ფანჯრებითა და ხის ღამაში აივნი; ბოლოს საძირკველიც გამოჩნდა.

მათეს ეგონა, რომ სასლმა ზრდა დაასრულა, მაგრამ მოხდა უცნაური რამ. სასლი ამოვიდა, ამოვიდა და მოწედა მიწას. კიდევ კარგი, მათემ დროზე შენიშნა ეს, თორემ სასლი ავიდოდა ძაღლა, ღრუბლებში და მათე კვლავ უსახლკაროდ დარჩებოდა /ასე დაეძარათ მათეს მესობელს, თამას, რომელსაც სამჯერ გაუფრინდა სასლი და ახლაც უსახლკაროდ დიდის ორღობეებში და ძღერის/.

შეინშნა თუ არა მათემ, რომ სასლი გაურუნას აპირებს, აივანზე ახტა და შინ შევიდა. სასლმა აურენა შეწევიტა. მათე მიხვდა, რომ სასლი მარტო კი არ უნდა დათესო და აღმოაცნო, არამედ უნდა დაიშვიდრო კიდევ. მაშინ ის არ გაეფრინდა.

სასლიც ხომ უნდა მიხვდეს, თუ რისთვის სჭირდებათ იგი?!

ამგვარად დაიშვიდრა მათემ თავისი სასლი.

მათემ, ეოველი შემთხვევისათვის, ხისავე კიბე მიადგა სასლს და როცა უნდოდა, შინ შედიოდა, და როცა უნდოდა, შინიდან გამოდიოდა კიდევ.

რამდენი წლისა მათე

მათემ კარგად არც კი იცოდა, თუ რამდენი წლისა იყო. აბა საიდან უნდა სცოდნოდა მათეს, თუ რამდენი წლისა იყო, როდესაც ის თავის თავზე ხან უფროსი იყო და ხან უმცროსი. თავისი ასაკისა ის მხოლოდ ერთხელ იყო და ისიც ძილში.



მხატვარი ბენო ხილაშვილი



ჩველი

თინათინ ჩალაშვილი

დილაუთენია გაეღვივა გეგას, ისე შეერთო-
მით, თითქოს უხილავმა ჯადოქარმა უფერად გა-
დაჰხადა საბანი და ქვეშაგებიდან წამოაგდო.

შიშველი ტერფების ტყაპატყუპით ჩაირბინა
კოშკის ცივი კიბეები და მეორე სართულზე
დიდი პაპის საძინებელში ასკინკლით შეიჭრა.

ტახტი ცარიელი დაუხვდა. მარტო ბათულა
იყო ოთახში — საწოლის წინ გაშლილ ფარდა-
გზე ეძინა.

ასეთი დიდი პატივი — წინაპართა წმინდა კო-
შკში ღამის გათვივის უფლება ბათულას გარდა
ჯერ არც ერთ ნაგაზს არ ღირსებია მთელ სვა-
ნეთში, ეს წყალობა კი უდავოდ დაიმსახურა, მა-
გრამ ერთს ვერ ხვდებოდა გეგა, რატომ ეძახდნენ
ბათულას ბებერ ქოფაკს და მას კი პატარა ბიჭს,
როდესაც ორთავენი თანატოლები იყვნენ, სულ
რალაც ცხრა-ცხრა წლისანა.

უგოდან ხმამალალი შეძახილები და ხმაური
ისმოდა, მთელი ოჯახი რაღაცას საქმინობდა,
ხანდახან ყველა ერთდროულად ჩუმდებოდა და
მათ ფეხქვეშ გაყინული თოვლიც კი აღარ ჰკრი-
ალებდა.

გეგა ადგილს მოსწვდა, თითო საფეხურის
გამოტოვებით აირბინა კიბე, ტახტზე „ჩიტი ხე-
ზეს“ მოთამაშესავით შეხტა და გამალებით შე-
უღდა ჩაცმას.

საღღაც შორიდან უცნაური ხრიალის ხმა
შემოესმა და სმენა გაამახვილა. ქვევიდან, მე-
სტიის მხრიდან, ტრაქტორები მოდიოდნენ. ახლა

აღმა მიმავალ კიბეს მიაწყდა გეგა, წაშში მოე-
ქცა კოშკს თავზე და სოფელს გადახედა.

განთიადის რიბირაბოში ღია იხსვრად ჩან-
და სოფელიც, შემოგარენიც და არემარეც.

ცისკილურს ააყოლა მწერა გეგამ და სათა-
ყვანებელი მოიძია — კვლავინდებურად იქ იდგა
შეუვალი და უსაყვარლესი, გოროზი შხარა.

— მშვიდობით, — ჩურჩულით თქვა გეგამ,
— დღეს მივდივართ!

— ზო...ოჰ... — ნიავის ქროღვით გამოეპა-
სუხა თავზე გადმომდგარი ბუმბერაზი, — ვიცი...

წინა ღამით, დედამ რომ გაანდო „ხვალი-
დან ბარში ვსახლდებით საცხოვრებლადო“, ბიჭ-
მა ტაშიც კი შემოპკრა სიხარულით, იქნებ იმ დი-
დი შიშის გამო, ამ ორი დღის წინ რომ გადახდა
თავს, მარტო მას კი არა — მთელ სოფელს.

... გუშინწინაც ასეთი წყნარი ამინდი იდგა,
გადაუღებელი დიდთოვლობის შემდეგ რომ იცის
მთაში — დამაშვრალივით ირინდება ბუნება,
თითქოს ისვენებსო. თეთრად იყო შესუდრული
სოფელი, მხოლოდ მხარჩოლავი საკვამურებიღა
მოუჩანდა ორსართულიან სახლებს. განთიადიდან
დაბინდებამდის მუხლჩაუხრებლად შრომობდა
სოფელი, რომ მეზობლებსკენ და წყარომდე
გზა გაეკრათ.

დილიდანვე აბუზღუნდა დიდაპაა, „კუღს
მჩხიხავსო გული“, მოუსვენრად წრიალებდა მუ-
ღამ დინჯი მოხუცი, ბროლს მარტოდმარტომ გაკ-
ვალა გზა საგვარეულო კოშკამდე.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

... აღრიანად შეიყუთა სოფელი, დაღლილ-დაქანცული ხალხი დაბინდებისთანავე მიწვა ძილად, მხოლოდ დიდაპაა ფხიზლობდა.

შულამისას აყევდა ბათულა, კი არ აყევდა, ყმულა, მკერდით ამტვრევდა საცხოვრისის კარს და ბრჭყალებით დირეს ფხოჭნიდა. ბოსლებში გამომწყვდეული პირუტყვიც შეთანხმებულივით აპყვა წაგაზს, — ერთხმად აბღავლდა და აზმუვლდა.

ხელჯოხის უაპაუპით წამოჰყარა დიდაპაამ ყველა, რიგიანად ჩაცმაც არ აცალა, საცვლების-ამარანი ცხვრებივით გაირეკა წინ და საგვარეულო კოშკში შეღალა, მერე სათვალთვალოზე გადმოდგა და ხმამალლი ძახილით მეზობელ-მოყვარე გაადვიდა; ვისაც საკუთარი კოშკი არ გააჩნდა, თავისთან მიიხმო.

ბათულა კვლავინდებურად ყმულა და წკავ-წკავებდა, მერე უცებ გაჩუმდა, წაკვეთილი ყურები დაწკაპა, ერთიც შეტყეფა, კოშკის შიდა კედელთან მიწვა და ზღარბივით მოიკუნტა.

იმავე წამს სოფელს გადმოყუდებული მაღალი ქელიდან, თითქოს გამხმარი ხე გადაიმტვრაო, ისეთი ხმა მოისმა, იმას ცოტა ხანში ახლადამოვარდნილი ქარის შრიალი მოჰყვა, რომელსაც სულ მალე გრიალ-გრუხუნე შეენაცვლა.

დიდაპა ამ დროს შუა ოთახში იდგა და წელში მოხრილი იმ ხმას აუურადებდა, შემდეგ, გრუხუნს რომ მიწის ცახცახიც დაემატა, მოხუცმა ორთავე ხელი აიქნია და ყბებში გამე-

ტებით შემოიკრა.

— აჰაი... ზეავი! — იღრიალა, გეგას ხელი დასტაცა, მკერდზე მიიკრა და კოშკის კუთხისაკენ გაიქცა.

კედელს თითქმის მიღწეულები იყვნენ, რომ, თითქოს სარმა გამოჰკრესო, ისე შექანდა და შეყანაყალდა საგვარეულო კოშკი, მასთან ერთად დიდაპაც შეტორტმანდა, წაიფორხილა, მაგრამ თავი შეიმავრა, გეგა კუთხეში მიყუჟა, თავად ზედ გადაეფარა და ორთავე ხელისგულები კოშკის კედლებს ისე მიაბჯინა, თითქოს ბურჯად შეუდგა და ჩაეკირაო.

— არ გვიღალატო, მამა-პაპათა მფარველო ფარო, — კბილების ღრჭიალით ხრიალებდა დიდაპა, — იხსენი შენი აღმშენებლების მონავარი, გვიჩვენე შენი სიმტკიცე, გაუძლე, არ დაიქცე, არ გავციწირო!

საგვარეულო კოშკი კი ერთიანად ზრიალევდა, გველემშაპს შეჭიდებული ამირანივით გმინავდა. ბეჭებით კედელს მიკრული გეგა ცხადად გრძნობდა, როგორ ეხლებოდა და ეგრავნებოდა ყოველი მხრიდან ბებერ კოშკს რაღაც ბოროტად ძლიერი და დამორგუნველი ძალა, რომელიც მის დაქცევასა და წალექვას ცდილობდა.

შიშით დაზაფრული ქალები ცივი ხმით კიოლდნენ, ბავშვები ღნაოდნენ, კაცები დაჭრილი დათვებივით ბღღვინავდნენ.

ქვიტკირით ნაშენი კედლები ჭერ კიდეც თრთოდნენ, დიდაპაამ რომ სიხარულით შეტყვ-

რა, მომუშტული მკიდეები მკერდზე დაიბაგუნა, მუხლი მოიყარა, კოშკის კედელს ბალღივით ჩაეკრა, შუბლით მიებჯინა და სამგვის ეამბორა.

გეგამ დაინახა, როგორ დაპაღუპით ვადმო-სდინდა დიდაპას ცრემლები და მძიმედ დაედევ-ნთა ქვის იატაკს, ამის შემხედვარე ბიჭს თავადაც გული ამოუჭდა და ატირდა.

დიდაპამ მაჭაში ხელი ჩასვიდა და ხვეული კიბით სათვალთვალზე აიყვანა. საესე მთვარით განათებული სოფელი იავარქმნილს ჰგავდა, სა-ძირკვლებამდე იყო დაქცეული ყოველი სახლი და შენობა, უმძლავრეს ზვავს პირწმინდად წაე-ლეკა, რაც კი წინ დახვედრიდა, სოფლის ბოლოს ღრმა ხევში ჩაეხერგა და დაემარხა.

მხოლოდ წინაპართა საგვარეულო კოშკები იდგნენ ურყევად, მტკიცედ, მთვარის სხივებში თითრად მოედვარენი ისინი შუბებივით შებჭე-ნოდნენ ზეცას.

.....

სათვალთვალოზე მდგომი და იმ საზარელ დამეზე ჩაფიქრებული გეგა ვუგუნმა გამოაფხი-შლა — ნასოფლარის ბოლოს ხვეულ აღმართს შემოსდგომოდნენ ტრაქტორები და გაყინულ თოვლზე შავი ხოქოებივით მობობდავდნენ.

ბიჭმა ერთხელაც მოავლო მწერა ვარემოს, ყოველი კოშკის წინ უბედურებას გადარჩენილი მისი ახლობლები და ნათესავები იდგნენ, ზვავს გადარჩენილი მცირედი სარჩო-საბადებელი მარხილებზე დაეწყით და ბარში სამუდამოდ გადასახალბებლად გამზადებულნი მგლოვიარედ თავჩაქინდრულნი გარინდებულებყვნენ.

აუტანელი იყო ამ ქედჩადრეკილი, ხმაგაკმე-

ნდილი ხალხის ყურება. დიდი და მტკიცნეული სევდა იგრძნო გეგამ, ახლალა მიხვდა, საოცრად მშობლიურსა და სათაყვანებელს რომ შორდე-ბოლა, იმას, რასაც სულითხორცთანად ეკუთვნო-და, შეიგრძნო, მიხვდა და რალაც ბაბუაწვერასა-ვით მშრალი და ხაოიანი მოებჯინა ყელში.

თვალთა უაუბეში ჩამდგარმა ცრემლებმა ყვე-ლაფერი დაანაწევრა და აურ-დაურია. ახლა გო-რონი შხარა თავდაყირა მდგომი მოეჩვენა, ზე-ცაც თითქოს ფეხებთან გაუწვა და მის ადგილზე წინაპართა ცხრა კოშკი ცხრა ანთებული სანთე-ლივით აიზიდა და აკაშკაშდა.

— მე დავბრუნდები... — დაჩურჩულა სუნ-თქვაშეკრულმა გეგამ და შემდეგ მთელი ძალის ხმევით და გაშმაგებით დაიკვილა, — მე დავბრუ-ნდები!

ნასოფლარს შემოჩარულმა მწვერვალებმა, ქარაფებმა და ხეებმა ბიჭის ეს დამახილი და-უხანებლად აიტაცეს, ერთიმეორეს გადასცეს და ექოთი გაძლიერებული ოთხივე მხრიდან უკანვე გადმოსროლეს: — დაბრუნდები... დაბრუნდე-ბი... დაბრუნდები...

ამ ქვეყნად ყველა ზვავზე ძლიერი იყო ეს ხმა.

განთიადისას სუსხით მობუშული, გარინდე-ბული ხალხი უცებ გამოფხიშლდა, შეჩოქქოლდა და იმედმიცემული შეაცქერდა ყველაზე მაღალი კოშკის წვერზე ქანდაკებასავით მდგარ ბიჭს.

მთ არ იცოდნენ, ვის შესძახა გეგამ ეს ყვე-ლასათვის საოცნებო და სანუკვარი სიტყვა — შხარას, ზეცას თუ ცხრა კოშკს, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ ადრე თუ გვიან ბიჭი მშობლიურ სვანეთს დაუბრუნდებოდა.



ცრემლა

ლამაზ, კოინდრიან ეზოში ლამაზაიენიან ცისფერი სახლი იდგა. იმ სახლში ცხოვრობდა ერთი ცისფერთვალა ლამაზი გოგონა. ლამაზი კი იყო, მაგრამ რად ვინდა სიღამაზე, სულ ჭირვეულობდა და ყველაფერზე უმიზეზოდ ტიროდა. ამიტომაც მისი ნამძვილი სახელი ყველამ დაივიწყა, შინაურიც და გარეულიც, დიდიც და პატარაც ცრემლას ეძახდა. მაგრამ ცისფერი თვალებიდან გოგონას ერთხელაც არ დასცვენია ცისფერი ცრემლები. სულ მაყვლისფერი ცრემლები ეღვრებოდა, რადგან ჭირვეულობის ცრემლი მხოლოდ მწიფე მაყვლისფერია.

ცრემლა ხშირად ისეთ უბრალო რამეზეც ტიროდა, სხვებს სასაცილოდაც რომ არ ეფოფოდით. ერთ მშვენიერ დღეს აღიონიდან შებინდებამდე ზღუქუნებდა, წყარო რატომ დილინებსო. კამკამა ცისფერ წყაროს განა შეუძლია მუდამ არ ილიღინოს?

ერთ ზაფხულს, იცით, რაზე ატირდა? ზამთარი რატომ არ მოდის, ახლავე აქ განჩნდესო! უთბრეს: ზამთარი მხოლოდ ზამთარშია, ზაფხული კი — მხოლოდ ზაფხულშით. არა, მე ზამთარი ზაფხულშიც მინდა და ზაფხული — ზამთარშიცო.

ზოგჯერ ღამეც ტიროდა და ძილს უტყენდა დედა-მამას და ბებია-ბაბუას. საოცარი იყო, ამდენი მაყვლისფერი ცრემლი სად ჰქონდა ამ ცისფერთვალა გოგონას.

მაგრამ მოხდა სასწაული. ზუსტად ერთი თვეა, ცრემლას არც დღისით უტირია, არც — ღამით... ნეტავ რამ მოახდინა ეს საარაკო სასწაული?

ერთი თვის წინათ, ცრემლამ ტირილით რომ დაიძინა, ზღუქუნი ძილშიც ჩაჰყვა და მთელ ღამეს ჭირვეული ტირილის სიზმარს ხედავდა. ოღონდ იმ სიზმარში უწინდებურად მწიფე მაყვლისფერი ცრემლები კი არ სცვიოდა, არამედ უცნაურზე უცნაური. ყველა ცრემლი გზაზე მიმავალი ცრემლას ფეხებთან მიძიმედ ეცემოდა და მაშინვე ერთი ცხრად სკდებოდა. სკდებოდა უხმაურად, მაგრამ არ ქრებოდა, ნამსხვრევები სწრაფად იზრდებოდა. დიდრონ ქვა-ლოდებდა იქცეოდა და ცისფერთვალა გოგონას გარშემო შავ ყორედ შე-



ნდებოდა. ცრემლა შეშინდა და ტირილით გაჰკურცხლა, მაგრამ ერთ მოზრდილ, სლიპინა ლოდზე ფეხი აუცურდა და ძირს მოადინა ზღართან. წამოხტა და ისევ ცრემლების ღვარღვართი გაუტია. გადაახტა ერთ ყორეს, მეორეს, მესამეს... მაგრამ, რაც უფრო შორს ცდილობდა გაქცევას, მით უფრო სლიპინა და მაღალი ქვა-ლოდის ყორე ელობებოდა გზაზე. ბოლოს სულ ვეღარ შეძლო ფეხის წინ წადგმა, ამან უფრო დააფრთხო და ტირილსაც

181
28
46

საქ. სსრ კ. მარქსის
სსს. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

უმატა. ტირილის მომატება ეგრე არ უნდაო, ქვებად ქვეული ცრემლების ყორეც გაიზარდა, ჯერ წელამდე მისწვდა ცისფერთვალა გოგონას, მერე ილიებამდე ამადლდა და მაღლე მხრებსაც გაუჭოლდა. ახლა ველარც ფენს ანძრევედა, ველარც ხელს. სად იყო და სად არა, ცრემლას დედ-მამა და ბებია-ბაბუა გამოიწინდნენ...

— მომეშველეთ, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! — ტირილით მიადანა გოგონამ.



მხატვარი ქეთევან შიშიანი

დედ-მამაც და ბებია-ბაბუაც გოგონასაკენ გამოიქცნენ. ცრემლის სლიბინა ლოდებზე ფენი წამდაუწუმ უხსლტებოდათ და ეცემოდნენ. ამიტომაც ვერც ერთმა ვერ მოახერხა მიშველება.

— ვილუპები, ვილუპები! — ღრიალს მოუმატა ყელამდე შავ ყორეში გაბაგრულმა ცრემლამ. და სწორედ იმ წამს ვილაცამ დაუძანა: — გოგონა, ნუ იტირებ, ცრემლს ნულარ გადმოაგდებ და გეშველება!

ცრემლამ მიმოიხედა, ვერავის მოჰკრა თვლა. გაოცებამ კი ტირილი უნებურად შეაწყვეტინა.

— აი, ასე! — მოესმა ცრემლას იგივე ხმა. — მაგრამ თუ კიდევ იტირებ, უარეს დღეში ჩავარდები. არ გჯერა? მაშინ ვცადოთ! ჰოპ! ცრემლას ირგვლივ ცრემლის ყორე წამისწამა გაქრა.

— ახლა ერთი ისევ შენებურად დააღე პირი და აღრიალდი!

გოგონას ტირილი წასკდა და მის ფეხებთანაც ნაირნაირი ქვა-ლოდი განწდა. დიდრონ სლიბინა ქვაზე ცრემლას ფენი აუცურდა და ისევ გაიშოტა.

— აი, ხედავ, რა მოჰყვება ცრემლებს, მაგრამ თუ აღარ იტირებ, გზა ია-ვარდით მოგეფინება. გაიღიმე, გაიღიმე! სულ გაღიმებულმა იარე! არ გესმის?

ცისფერთვალა გოგონამ გაიღიმა. მის თვლებში მზე აკიაფდა და ცრემლის ქვა-ლოდით ახუნულავებული ყორე გაქრა. წამიც და მიწიდან ლამაზ-ლამაზი ყვავილები ამოყელყელავდნენ გაზაფხულის დედოფლებივით. ია-ვარდებით, დიდლოდებით, ვვირილებით და სხვა ნაირფერი ყვავილებით მოიჩითა მიწა. ყველა ყვავილს დილის ცვარ-ნამი ცრემლებივით დაეკვდა და თითო ცრემლში ცხრა მზე ჩადგა. ეს უკვე სისხარულის ცრემლები იყო, თითქოს მინდვრის დედოფლები უხმოდ იციინანო.

გაიხარა დედ-მამამ, გაიხარეს ბებიამ და ბაბუამ.

ჰოდა აი, თვე მიიღია, რაც ცისფერთვალა ცრემლა აღარ ტირის. უკაცრავად, ცრემლა ჰაიპარად წამომცდა, თორემ ამ სამარცხვინო სახელს გოგონას აღარც არავინ ეძახის, მეორე დილითვე ღიმილა დაარქვეს, ეს სახელი კი ნამდვილად შეენის, როგორც ყვავილს მზიანი ცვარ-ნამი.

შოთა აშირანაშვილი

შინადა

ექვსი შემსრულებლისაგან
შემდგარ ანსამბლს თუკი იტყვი,
ზედმეტა მეოთხე და
ბოლო ორი ბგერა სიტყვის.
თუ „მოხუცი“ ოთხი ბგერით
როგორ ითქმის, — ისიც განსოვს,
შეკრებამდე სიტყვებს შორის
ჩაუმატე ერთი ასო...



ბიორბი წარმეთლი

შისწითა

ევაილს აქვს თაფლის სურნელი,
ნაუფს მიირთმევს მსურველი...
თუთრად ევავის და შავად მწიფს,
სახელად ჭკვია



გაივცა

ამოვიდა ნიავი,
ჩამოყარა ქლიავი,
აურიგე, ჩაურიგე,
ღიას შეხვდა ჭი-ა-ნი.

ჩქარა გამოსათქმელო

შეშეთშია შავი შაში,
შაშვის შაშიი შია შანშეს.

ჩაწერა ნოდარ ივანიძე



ჭიქა

საპარტიველუს ალკა ცა-ისა
და ვ. ი. ლენინის სახელობის
პროფნათა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბავშვო მურ-
ნალი შემცროსკლასელთა-
ვის.

გამოდის 1904 წლიდან
საქ. კა ც-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
მევერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ქუზარდ ამო-
პაძე, მაინა აბიძაძე, ლაპარა ბაბუა,
მერი ღვინიაშვილი, ლეილა შრამი,
გელა ლოსაბერიძე, გავსულა გიგ-
ლიშვილი, ჯუზუა ნადირაძე, ბი-
ორბი როინიშვილი (სამხატვრო რე-
დაქტორი), თინათინ ჩალაშვილი (პ/მე,
მდივანი), ბიბი ანაბაძე, ბიბი ბიბი-
აძე, მარიამ ხარატიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
მელი წარმეთლი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ:
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;
პ/მე, მდივნის 93-10-32, 93-98-18; საშხ.
რედაქტორის—93-98-18; განყოფილებ-
ბის: 93-98-19.

გადაცემა ახსულობად 13.07.87 წ., ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 26.08.87 წ., კლა-
დის ზომა 60x90/8, ფიხ. ნაბ. ფურც-
2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა №1735

ელაზე ნახატი
თამაზ ხუციშვილისა

«Дила» («Утро») ежемесечный жур-
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной
пионерской организации им. В. И.
Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ №1735

ԵՆՈՒՆԻՍԻՆ

6/12/63



ՆԱՐԱՆՆԱԳԵՆ, ՅՈՒՆԻ, ՅՈՒՆԻ!...



ԵՆՈՒՆԻՆԻ ՄԻՅՈՒՆ ԲՈՒԿՈՒՆԵՐԵՐԸ
ՆԱՐԱՆԻՄ, ԿԵՆՏՐՈՆԻ ՎԵՐԱ ԿՅՈՒՆԵՅՑ:



-ՆԻ ՆԱՐԱՆԻՆԻ ԲԱՆՏԱՎՈՐՈՒՄԸ
-ԿՈՒՄ ՄԵՐԱ ՎՈՐՆԱՆՈՒՄ,
ԸՆԴՆ ԵՄԱ ՅՈՒՆԻՆԻ:



ԵՆՈՒՆԻՆԻ:- ԿԻՎԵՆ ՆԱՐԱՆԻՆԻՆԻ ԲԱՆՏԱՎՈՐՈՒՄԸ, ԲԱՆՏԱՎՈՐՈՒՄԸ ԵՆԻ ԸՆՈՒՆԻՆԻ ՄՈՒՐՈՒՄԸ...